

მედოევი კვირიკაშვიდის განცხადებას უცნაურს და სახადისოს უწოდებს



საქართველოს პრემიერ-
მინისტრმა რუსეთის
ხელისუფლებას მიმართა და
აღნიშნა, რომ მზად არის
პირდაპირი დიალოგისათვის აფხ
აზებთან და ოსებთან.

*“მიმდინარე წლის აგვისტოში 2008 წლის ომიდან ათი წელი
შესრულდება. ამ დრამატურმა მოვლენამ ღრმა კვარი დატოვა ქართველი
ხალხის ცნობიერებასა და საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობებში.
განყვეტილია დიპლომატიური კავშირები. მოსკოვის მიერ აფხაზეთისა
და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარებამ ფაქტობრივად
ჩიხში მოაქცია ნორმალური სახედმწიფოთაშორისი ურთიერთობის
დამყარების პერსპექტივა.*

*ამჟამად ჩვენს წინაშე არის არჩევანი – თარიღს
შევხვდეთ ურთიერთბრადებებითა და მწვავე განცხადებებით, რომელთა
ნაკლებობა ამ წლების განმავლობაში ნამდვირად არ იყო, ან
გადავდგათ გონივრული, თუნდაც მცირე ნაბიჯები ამ მოჭადლოებური
წრიდან ჩვენი ურთიერთობების გამოსაყვანად.*

*ჩვენ ადრეც განვაცხადეთ და კვრავ ვადასტურებთ, რომ
დაინტერესებულები ვართ მივაღწიოთ რეალურ პროგრესს ჟენევის
საერთაშორისო დისკუსიების პროცესში, რისთვისაც ვადასტურებ ჩემი
პირადი ჩართვის მზაობა. მზად ვართ ასევე,
პირდაპირი დიალოგისათვის აფხაზებთან და ოსებთან და
მისასაღმებელი იქნებოდა ამ თვარსაზრისით რუსეთის მხარის
რეალურად კონსტრუქციული მიდგომა. პოლიტიკური ნების არსებობის*

შემთხვევაში, შესაძლებლად მიგვაჩნია სხვა გონივრული ნაბიჯების გადადგმაც.

სამწუხაროდ, დღეს რთული რეალობის წინაშე ვდგავართ. ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები აღვადგინეთ, მაგრამ ტრავიკული მოვლენების ჯაჭვი დღესაც გრძელდება. ეს ძირს უთხრის ქართურ-რუსურ ურთიერთობათა მოწესრიგების პერსპექტივას. ამის ბოლო ტრავიკული მაგარიითა ორი კვირის წინ ცხინვარში გაურკვეველ ვითარებაში ჩვენი მოქალაქის არჩიდ ტატუნაშვილის სიკვდილი, რომლის ცხედრის გადმოცემა, მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების, კათოლიკოს-პატრიარქისა და საერთაშორისო თანამეგობრობის არაერთი მცდელობისა, აქამდე ვერ მოხერხდა ოჯახისათვის.

მივმართავ რუსეთის ფედერაციის უმაღლეს ხელისუფლებას, რათა დღევანდელი დღისა და მომავალი თაობების წინაშე პასუხისმგებლობის გაცნობიერებით, გადავდგათ ერთობლივი ნაბიჯები რთული ვითარების დასაძრევად”, - წერია პრემიერმინისტრის განცხადებაში.

გიორგი კვირიკაშვილის განცხადებასთან დაკავშირებით [“ნეტგაზეთი”](#) დე ფაქტო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს დიმიტრი მელოევს დაუკავშირდა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიმართვა გააცნო.

“ჩემი აზრით, საკმაოდ უცნაური განცხადებაა. თუმცა, მე არ მაქვს სურვილი მისი კომენტარების, ვინაიდან ის არ არის სამხრეთ ოსეთის მისამართით და, შესაბამისად, ჩვენთან მას არანაირი კავშირი არ



გააჩნია. მეორე საკითხია, რამ უბიძგა ბატონ კვირიკაშვილს ასეთი ნაბიჯი გადაედგა? თუმცა გვერდიდან ეს ყველაფერი საკმაოდ სახადისოდ გამოიყურება: საქართველოს უმაღლესი ხელმძღვანელი პირი მიმართავს რუსეთის ხელისუფლებას [“ოკუპანტ” ქვეყანას], რათა მან [“ოკუპირებულ”]

ახმაზებსა და ოსებს “homeland”-თან, საქართველოსთან პირდაპირი დიალოგის ნება დართოს. გაუგებარია, როგორ უშდის ხედს რუსეთი საქართველოს ხედისუფრების დიალოგს კახეთის ან ნახალოვკის ოსებთან?

... კვირიკაშვიდი რუსეთის ფედერაციის უმაღლეს ხელმძღვანელობას მოუწოდებს [ხაზს ვუსვამ], მოუწოდებს! გაიაზროს საკუთარი პასუხისმგებლობა დღევანდელი და მომავალი თაობების წინაშე...”. გაიაზროს საკუთარი პასუხისმგებლობა! ესეც უკომენტაროდ. იქნებ აქ რაღაც შეცდომაა [მექანიკური], რომელიც განცხადების ტექსტში იპარება. ვგუდისხმობ სიტყვას “მთელი” პასუხისმგებლობა”, თანამედროვე ქართული პოლიტიკური დექსიკონით აქ უნდა იყოს სხვა სიტყვა – “საკუთარი” პასუხისმგებლობა”, – განუცხადა მედოევმა [“ნეტგაზეთს.”](#)